“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) 2:2 (2:1)

თბილისი სტადიონი “დინამო”. 10 000 მაყურებელი.

7 სექტემბერი.

მსაჯი : ვ. ვასილევი (მოსკოვი).

გოლები: 1-0, შჩეგოდსკი (40), 1-1, სომოვი (17), 2-1, პაიჭაძე (43), 2-2, გრებერი (74).

“დინამო” თბ: დოროხოვი, შავგულიძე (ნიკოლაიშვილი), ჯორბენაძე,, ანიკინი, ვ. გ. ბერძენიშვილი, გაგუა, პანინი, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ასლამაზოვი, სომოვი.

“დინამო” კ: ტრუსევიჩი, კლიმენკი, პრავოვეროვი, ტიუტჩევი, ლიფშიცი, გრებერი, გონჩარენკო, შილოვსკი, შჩეგოდსკი, კომაროვი, მახინია.

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1936a&cl=8

დაამატა: ერლან მანაშევმა.

ფეხბურთის საკავშირო პირველობა

“დინამო” (ტფილისი) - “დინამო” (კიევი) - 2:2.

7 სექტემბერს გაიმართა პირველი მატჩი საკავშირო პირველობაზე (“ა” ჯგუფში) ტფილისისა და კიევის დინამოელთა შორის. კიევის “დინამო”, რომელიც ერთ-ერთ უძლიერეს გუნდათ ითვლება კავშირში, გამოვიდა შემდეგი შემადგენლობით: ტრუსევიჩი, კლიმენკო, პრავოვეროვი, ტიუტჩევი, ლიფშიცი, გრებერი, მახინია, კომაროვი, შჩეგოდსკი, შელოვსკი და გონჩარენკო. ტფილისიდან თამაშობდნენ: დოროხოვი, ჯორბენაძე, შავგულიძე, გაგუა, ბ. ბერძენიშვილი, ანიკინი, სომოვი, ასლამაზოვი, პაიჭაძე, მ. ბერძენიშვილი და პანინი.

ტფილისი აღელვებულად იწყებს თამაშს და უკვე მე-4 წუთზე შჩეგოდსკი სარგებლობს ტფილისელთა აბნეულობით და ჰგზავნის ბადეში პირველ ბურთს. მალე ტფილისელები მშვიდდებიან და გადადიან შეტევაზე. თუმცა დაშავებული შავგულიძის ნაცვლად გამოდის ნიკოლაიშვილი. ეს შეტევა, რომლის დროს მშვენიერათ თამაშობენ ტფილისის თავდამსხმელები, გრძელდება მეორე ტაიმის ნახევრამდე. მეკარენი: ტრუსევიჩი (მე-7 წუთი) და დოროხოვი (მე-30 წუთი) იღებენ უძნელეს ბურთებს. მე-29 წუთზე სომოვი აქვითებს ანგარიშს. მე-45 წუთზე მსაჯი ვასილევი ვერ ამჩნევს კიევის დამცველის ხელით თამაშს, მაგრამ პაიჭაძე მაინც ეუფლება ბურთს და ჰგზავნის მას ბადეში. დასვენებისას ანგარიშია 2:1.

მეორე ტაიმის მე-25 წუთზე კიევის დამცველი თამაშობს ხელით, სახაზო მსაჯი აქნევს სანიშნო ალამს… მაგრამ ვასილიევი ხელმეორედ ვერ ხედავს ნაღდ პენალტის.

ტაიმის მეორე ნახევარში კიეველები ხელთ იგდებენ ინიციატივას და აწვებიან ტფილისის კარებს. კორნერების ანგარიში ქვითდება (7:7), პირველ ტაიმში კი ის იყო 5:0 ტფილისის სასარგებლოდ. მე-41 წუთზე ანიკინი ხელით თამაშობს, მსაჯი ხედავს ამას და შელოვსკი არტყამს დანიშნულ პენალტის. თამაში თავდება 2:2.

ტფილისის გუნდში მშვენივრად თამაშობდა დოროხოვი და მთელი თავდასხმა, შედარებით უფრო სუსტად _ უკანა ხუთეული, ნიკოლაიშვილის და ანიკინის გამოკლებით. კიევის გუნდში, პირიქით, უფრო ძლიერია უკანა ხუთეული, მეტადრე ნახევარდამცველები.

ტფილისის სტადიონს ამდენი მაყურებელი იშვიათად უნახავს. ცალკე უნდა აღინიშნოს ჩვენი "დინამოს" ერთსულოვანი, ამხანაგური და ხალისიანი თამაში. ამაღამ გუნდი მოსკოვსა და ლენინგრადში მიემგზავრება.

დ.ვ.
"კომუნისტი", 9 სექტემბერი, 1936 წ.